ვალენტინა ტესტოვა-პოტერალოვსკაია

ჯულისებს მიღმა სპექტაკლის შემქმნელთა“ შრომა ძლიერ რთულია. იგი მოითხოვს, არა მარტო ნიჭსა და ხელოსნის უნარს, არამედ არტისტიზმსა და გამომგონებლობას.

ვალენტინა ტესტოვა-პოტერალოვსკაია სწორედ ასეთ მუშაკთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი სცენის გამოცდილი ოსტატის ანატოლი ტესტოვის ქალიშვილია. ვალეტინა ბავშვობიდანვე ადევნებდა თვალყურს უფროსთა საქმიანობას: დედის სცენაზე გამოსვლას, მამის მიერ ბუტაფორიების დამზადებას, თეატრალურ ქუდებზე ბებიას ხელგარჯილობას. გოგონას შეუყვარდა თეატრი. თანატოლებთან ერთად ოჯახში მართავდა წარმოდგენებს. ცეკვაც შეისწავლა. იგი ხშირად გამოჰყავდათ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ მასობრივ ცეკვებში. ხოლო საშუალო სკოლაში სწავლისას დრამწრის აქტიური წევრი იყო. სცენაზე თამაშის პარალელურად თვითონ ქმნიდა წარმოდგენებისათვის საჭირო ბუტაფორიებს.

სცენით გატაცებული ქალიშვილი არც სწავლას ივიწყებდა. საშუალო სკოლა დაამთავრა და ქიმიის ტექნიკუმში შევიდა. შემდეგ ერთი წელიწადი ტოპოგრაფიის შემსწავლელ კურსებზე სწავლობდა!.. გათხოვდა, დაოჯახდა. ათი წელი ლენინგრადში ცხოვრობდა, უკვე დედას მრავალი საზრუნავი გაუჩნდა, მაგრამ არც საყვარელ ხელოვნებას ივიწყებდა. 1943 წლის მრისხანე დღეებში მან კვლავ მშობლიურ თბილისს